საქართველოს მთავრობის

დადგენილება №114

2018 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

1. მე-2 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2	პირადი საგადასახადო მრჩევლის მომსახურება	1 წელი	საწარმოებისთვის, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის (გარდა ახლად რეგისტრირებული საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისა) – 3 000 ლარი; ახლად რეგისტრირებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისთვის – 1 000 ლარი; ფიზიკური პირებისათვის – 500 ლარი. **შენიშვნა:** ამ გრაფის მიზნებისთვის: 1. ახლად რეგისტრირებულ საწარმოდ/ორგანიზაციად/ ინდივიდუალურ მეწარმედ მიიჩნევა საწარმო/ორგანიზაცია/ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც რეგისტრირებულია აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის განცხადებით მომართვის წელს. 2. ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.“.

2. მე-5 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

			ორგანიზაციებისათვის – 5000 ლარი; სხვა პირებისათვის:

„5	გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარება		12 თვემდე პერიოდის შემოწმებისათვის – 10 000 ლარი; 12-დან 24 თვემდე პერიოდის შემოწმებისათვის – 20 000 ლარი; 24 თვეზე მეტი პერიოდის შემოწმებისათვის – 30 000 ლარი. **შენიშვნა**: ამ გრაფის მიზნებისათვის ორგანიზაციად მიიჩნევა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული წარმონაქმნები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**